დანართი №1

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“

ს/კ 246754150

მისამართი: დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის №13

2024 წლის საქმიანობის ანგარიში

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოში“ 2024 წელს დასაქმებული იყო 25 ადამიანი. (5 ქალი, 20 კაცი). მათ შორის:

- 8 ადამიანი - ადმინისტრაცია;
- ამბულატორიული მომსახურების პროგრამის ფარგლებში ნივების/უაზის 10 მძღოლი;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების პროგრამის ფარგლებში ელექტრომობილის 3 მძღოლი;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების პროგრამის ფარგლებში მწვანე ავტომობილის 2 მძღოლი და 2 კონტროლიორი.

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ ახორციელებს 2 პროგრამას: ამბულატორიული მომსახურების და საზ. ტრანსპორტის მომსახურების, რომლის ფარგლებში დამტკიცებული ჰქონდა შესაბამისი ბიუჯეტები.

ამბულატორიული მომსახურების პროგრამის 2024 წლის ბიუჯეტის თანხა იყო 142 280 ლარი (რაც 2023 წლის ამავე პროგრამის ბიუჯეტთან შედარებით 5380 ლარით მეტია. 2023 წლის ბიუჯეტი იყო 136 900 ლარი). 2024 წლის ამავე პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების ჯამი იყო 126 671,66 ლარი, ანუ დაახლოებით 89,03% იქნა ათვისებული მთლიანი ბიუჯეტიდან. რაც შეეხება დარჩენილ 10,97%, ეს ეკონომია განპირობებული იყო საწვავების სრულად არ/ვერ ათვისებით (დაახლოებით 15 608,34 ლარი). ხარჯები მოიცავდა როგორც 10 მძღოლის ხელფასს - (65 689 ლარი, მთლიანი ბიუჯეტის 46,17%, ასევე საწვავის (27 055 ლარი, ავტომობილების რემონტის დაახლოებით 14 755 ლარი, დაზღვევის 2062 ლარი, და საბურავების შეძენის ხარჯებს 12 000 ლარი. ასევე ბანკის მომსახურების და GPS). (საწვავის ლიმიტებიn- ნივა 100 ლიტრი, უაზი-200 ლიტრი თვეში).

ორგანიზაციის კოორდინირებული საქმიანობით არ შეფერხებულა ათივე ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის ექიმები/ექთნების ვიზიტები პაციენტებთან და ლოგიკური დროის ფარგლებში რემონტდებოდა ნივები და უაზი.

საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის (ელექტრომობილი) 2024 წლის ბიუჯეტი იყო 30 000 ლარი. პროგრამის ხარჯები 2024 წელში იყო 27 321,68

ლარი, რომელიც მთლიანი ბიუჯეტის 91,07% არის. ეს ხარჯები მოიცავდა 3 მძღოლის ხელფასი- 19 800 ლარი (მთლიანი ბიუჯეტის 66%), ავტომობილის დაზღვევა 4510 ლარი, საბურავები 2700 ლარი (შევიძინეთ ზაფხულის და ზამთრის) შეძენის ხარჯი. დარჩენილი ხარჯი GPS და ბანკის საკომისიო). საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკი დამტკიცებულია შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ დირექტორის ბრძანების შესაბამისად. საზ. ტრანსპორტით დღეში დაახლოებით 150 ადამიანი გადაადგილდება, რაც თვის მონაცემებით დაახლოებით 5000 ადამიანს გულისხმობს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ტრანსპორტის არსებობა მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია და საზოგადოების კმაყოფილებას იწვევს.

ამავე პროგრამაში 2024 წლის ივლისის თვიდან დაემატა ე.წ „მწვანე ავტობუსის“ ბიუჯეტი, რომელიც ჯამში იყო 47 400 ლარი, თუმცა აქედან მუნიციპალური ბიუჯეტი იყო 30 400 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსულობებით გათვალისიწინებული 17 000 ლარი. ამ პროგრამაში სუბსიდირება იყო 30 674,71 ლარი, ხოლო საკუთარი ხარჯები 13 720 ლარი. ეს ხარჯები მოიცავდა დასაქმებულთა ხელფასებს, ავტობუსის დაზღვევას, საწვავს, ფორმას, სალარო აპარატის, საბურავების და ბანკის საკომისიოს ხარჯს.

გამომდინარე იქიდან, რომ ავტობუსი, რომელიც ქედა-ბათუმის მიმართულების მოძრაობს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე შეღავათებს ავრცელებს სტუდენტებზე, სკოლის მოსწავლეებზე, შშმ პირებზე, ომის ვეტერანებზე. შესაბამისად ივლისიდან შემოსავლები კვარტალურ ჭრილში გამოიყურება ასე: მესამე კვარტალში 5486,73 ლარი, მეოთხე კვარტალში 6211,37 ლარი. ჯამში: დაახლოებით 11 700 ლარი, რომლიდანაც ათვისებულ იქნა 10 455 ლარი.

რაც შეეხება **შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“** 2024 წლის ბიუჯეტს, 80 500 ლარი იყო, ხარჯვა (მუხლების მიხედვით) 79 233,31 ლარი. ათვისებული იქნა მაქსიმალურად. ეს ხარჯები მოიცავდა ხელფასი- 69 400 ლარი, (მთლიანი ბიუჯეტის 86,21%), საკანცელარიო, რეცხვა-ქიმწმენდისა და კავშირგაბმულობის ხარჯებს, ასევე საწვავს და სხვა მცირე ხარჯებს. მნიშვნელოვანია დისპეტჩერების შრომის აღნიშნვა, რადგან ისინი მაქსიმალურად ამოწმებენ სამარშრუტო ხაზების ტექ. გამართულობას, სისუფთავეს, დროითი ლიმიტების დაცვას, თანხის ამოღებას(საკუთარი შემოსავლები) და მათ მუდმივი კომუნიკაცია აქვთ მძღოლებთან, რაც კოორდინირებულ მუშაობას უწყობს ხელს.

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ აქვს **საკუთარი შემოსავლებიც** (77 ქედის სამარშრუტო ხაზისა და სოფლების სამარშრუტო ხაზებიდან).

2024 წელს მუნიციპალიტეტის 10 ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებიდან ჯამში 8 ავტომობილი დადიოდა სოფლიდან ბათუმის მიმართულებით.

1. ხარაულა
2. ც. დანდალო

3. კვაშტა
4. მეძიბნა
5. ოქტომბერი
6. უჩხითი
7. მილისი
8. ზედა ბზუბზუ

ხოლო „77 ქედა“- 20 ავტომობილი.

2024 წელს საკუთარი შემოსავლები იყო ჯამში: 14 022 ლარი.

აქედან 765,38 (პირველი გადარიცხვა) გადაირიცხა ხაზინაში (თემი ქედა, შემოსულობა- ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის თაობაზე). ხოლო მანამდე კი მოხდა თანხების ხარჯვა შესაბამისი კრების ოქმების საფუძველზე.

გარდა ამისა შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმომ“ მთაში მგზავრთა გადაყვანის ტრანსპორტირების მომსახურება განახორციელა. (ხელშეკრულების თანხა 7850 ლარი). გომის მთისა და საიჩაირის მიმართულებით. შესრულდა ჯამში 24 რეისი, რეისი 300 ლარად. (მძღოლებს აუნაზღაურდან11 საიჩაირის მიმართულებით და 13 რეისი გომის მთის მიმართულებთ.

ჯამში შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმომ“ 2024 წლის განმავლობაში (დამტკიცებული ბიუჯეტი/შემოსულობები) 322 052 ლარის მართვა შეძლო.

ძლიერი მხარე	**სუსტი მხარე**
1. მოწესრიგებული ქედა-ბათუმის და სოფლების სამარშრუტო ხაზები; 2. ამბულატორიული მომსახურების ფარგლებში ექიმებისა და ექთნების შეუფერხებელი გადაადგილება; 3. დაბა ქედის და მიმდებარე ტერიტორიებზე მოსახლების შეუფერხებელი გადაადგილება; 4. ახალი, ადაპტირებული ტრანსპორტი ქედა-ბათუმის მიმართულებით, რომელზეც ვრცელდება შეღავათით მგზავრობის საფასურები. 5. მოიალაღეთა მთაში უფასოდ გადაადგილების პროგრამის განხორციელება	1. შეთანხმების ვერ მიღწევა ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების სამარშრუტო ხაზების წარმომადგენლებთან; 2. შესყიდვების სპეციალისტის არ არსებობა; 3. სოციალური ქსელების არ არსებობა. (მარკეტინგული აქტივობების თვალსაზრისით).

6. უნიფორმებით უზრუნველყოფა თანამშრომლების (მძღოლების, კონტროლიორების).	
შესაძლებლობა	**საფრთხე**
1. სამომავლოდ გაჩერების ადგილების მოწყობა/მოწესრიგება 2. ნიშნულების განთავსება/ელ დაფა მარშრუტის განრიგის შესახებ. 3. სამარშრუტო მოძრაობის გრაფიკის მოწესრიგება 4. დისპეტჩერებისთვის სამგზავრო ჯიხურის მოწყობა ბილეთების გაყიდვისთვის. 5. მახუნცეთის ცენტრში ელ. დაფის მოწყობა „77“ და მწვანე ავტობუსის სამარშრუტო განრიგის საჩვენებლად ტურისტებისთვის/ ადგილობრივი მოსახლეობისთვის. 6. ორგანიზაციის თანამშრომელთა უნიფორმებით უზრუნველყოფა ორგანიზაციის ატრიბუტებით. 7. „BUS LINE”-ზე ავტობუსის შეუფერხებლად მოძრაობის ხელშეწყობა. 8. საკუთარი შემოსავლების მართვა ორგანიზაციული საჭიროების შესაბამისად.	1. სხვა მუნიციპალიტეტების (ხულო, შუახევი) სამარშუტო ხაზზე მოძრავი ავტომობილების მიერ გრაფიკის არ დაცვა;